



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 14 დეკემბერი

დისციპლინური საქმე №180/22  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

--- 2022 წლის 31 ოქტომბრის №180 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>ა</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>ბ</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 7 ნოემბრის №663/180-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:**

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე --- სასამართლო სხდომაზე მოსამართლის აცილების შუამდგომლობის დაყენების გამო დააჯარიმა 200 ლარით, რაც საჩივრის ავტორის შეფასებით, ემსახურებოდა დაცვის მხარის დისკრედიტაციას.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2022 წლის 11 იანვარს, სს საქმე ---, --- და სხვათა მიმართ არსებითად განსახილველად გადაეცა --- სასამართლოს მოსამართლეს ---.

2022 წლის 30 მარტის სასამართლო სხდომაზე, დისტანციურად დაიკითხა ბრალდების მხარის მოწმე --- -. მას შემდეგ რაც საქმის პროკურორმა დაასრულა მოწმის დაკითხვა, მოწმის ჯვარედინი დაკითხვის პროცესში ჩაერთო ადვოკატი ---, რომელმაც მოწმეს დაუსვა რამდენიმე კითხვა. მოწმის დაკითხვის ეტაპზე მოსამართლემ ადვოკატს შეაწყვეტინა დაკითხვის პროცესი. კერძოდ, მოსამართლემ განმარტა, რომ ადვოკატი გასცდა სასამართლოს მიერ მოწმის დაკითხვისთვის განსაზღვრულ დროს.

მომდევნო სასამართლო სხდომაზე, (2022 წლის 13 აპრილი) ადვოკატმა --- დააყენა მოსამართლის აცილების შუამდგომლობა, იმ საფუძველით, რომ მოსამართლე არის მიკერძოებული, ადვოკატის შეფასებით, 2022 წლის 30 მარტის სასამართლო სხდომაზე, მოსამართლემ უსაფუძველოდ შეუზღუდა დაცვის მხარეს მოწმისთვის კითხვების დასმის უფლება.

მოსამართლე --- არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა. ამასთან, 2022 წლის 13 აპრილის განკარგულებით, სასამართლოს უპატივცემულობის საფუძველით, ადვოკატი --- დააჯარიმა 200 ლარით.

-- სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 25 მაისის განჩინებით -- -- სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის განკარგულება -- -- მიმართ დარჩა უცვლელად.

### **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. კერძოდ, უნდა შევასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პროცესის მონაწილის ან/და სასამართლო სხდომაზე დამსწრის მიერ სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე ზეპირ შენიშვნას აძლევს მას და მოუწოდებს, შეწყვიტოს არასათანადო ქცევა. აღნიშნული მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პირის დაჯარიმების ან/და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევ პირს, მათ შორის, გაძევებულ პირს, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებით შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 50 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით.

აღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება დაუშვებელია.

შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი გარემოებები წარმოადგენს მოსამართლის მიერ, შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად განხორციელებულ ქმედებებს და არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დისციპლინური გადაცდომა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ვ ვ ი ტ ა :**

შეწყდეს -- -- 2022 წლის 31 ოქტომბრის №180 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ არსებული დისციპლინური სამართალწარმოება.

**ზურაბ აზნაურაშვილი**  
დამოუკიდებელი ინსპექტორი